გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონში „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“ გამოწვეულია "ჯანმრთელობის საყოველთაო სოციალური დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, შესაბამისად იგი წარმოდგენილია საკანონმდებლო პაკეტის სახით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია "ჯანმრთელობის საყოველთაო სოციალური დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონპროექტით დარეგულირებული ფინანსური სისტემის უზრუნველყოფა, რათა ჯანმრთელობის საყოველთაო სოციალური დაზღვევის ფონდის სახსრების სახელმწიფო ბიუჯეტიდან შევსება და განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც აისახება წლიურ ბიუჯეტში

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

ეს აქტი არეგულირებს სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს ჯანმრთელობის საყოველთაო სოციალური დაზღვევის ფონდისთვის მიზნობრივი დანიშნულებით, ფონდის სახსრების სახელმწიფო ბიუჯეტიდან შევსებას და განკარგვის წესს, რომელიც აისახება წლიურ ბიუჯეტში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით სახსრებს, დაფინანსება მოხდება ჯანდაცვის არსებული დაფინანსების ფარგლებში, კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის განკუთვნილი სახრების გამონთავისუფლების ხარჯზე.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა მოახდინოს გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს არ დაეკისრება ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ფინანსურ შედეგებს არ იწვევს;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩართულები იყვნენ ექპერტები და სპეციალისტები, აღნიშნულ რეფორმას მხარს უჭერს სამედიცინო დაწესებულებების, პროფესიული ასოციაციების, ექიმთა და პაციენთა უმეტესობა

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის პირვანდელი ვარიანტის მიმართ რამდენიმე საექსპერტო შეფასება იქნა მიღებული, რაც გათვალისწინებულ იქნა კანოპნპროექტის დამუშავების დროს, თუმცა წარმოდგენლ ვარიანტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი.